

თელავის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი 2019-2022 წლებისათვის

თავი I. ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ

თელავის მუნიციპალიტეტი მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში, კახეთის მხარეში. 1917 წლამდე მუნიციპალიტეტის ტერიტორია შედიოდა თბილისის გუბერნიის თელავის მაზრაში, ხოლო 1930 წლიდან კი ცალკე რაიონად ჩამოყალიბდა. 2004 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის შედეგად 2006 წლიდან ეწოდა მუნიციპალიტეტი.

თელავის მუნიციპალიტეტს ჩრდილოეთით და დასავლეთით ესაზღვრება ახმეტის მუნიციპალიტეტი, ჩრდილო - აღმოსავლეთით დაღესტნის რესპუბლიკა, აღმოსავლეთით ყვარლის, სამხრეთ - აღმოსავლეთით გურჯაანის, ხოლო სამხრეთ - დასავლეთით საგარეჯოს მუნიციპალიტეტები. მუნიციპალიტეტის ტერიტორია მოიცავს ქ. თელავს, 22 ადმინისტრაციულ ერთეულს და 29 სოფლებს. მუნიციპალიტეტის მიწების დიდი ნაწილი უჭირავს ფართოფოთლოვან ტყეებს.

მუნიციპალიტეტის ტერიტორია მიეკუთვნება ზომიერად ნოტიო სუბტროპიკული ჰავის ოლქს.

თელავის მუნიციპალიტეტის მთავარ ჰიდროლოგიურ არტერიას ქმნის მდინარე ალაზანი და მისი აუზი, ასევე საყურადღებო ჰიდროლოგიური ერთეულია მდინარე ლოპოტა (სიგრძე 33 კმ) მარჯვენა შენაკადით - დიდხევი. ასევე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიედინება შემდეგი მდინარეები: სტორი, კისისხევი, თურდო, თელავისხევი და სხვა.

თელავის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ნაწილი გაშლილია ალაზნის ვაკეზე და შემოზღუდულია სამხრეთ-დასავლეთით გომბორის ქედით, ხოლო ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით კახეთის კავკასიონით. მუნიციპალიტეტში ვაკის სიმაღლე აღწევს 350-600 მ-ს. მუნიციპალიტეტის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში იჭრება გომბორის ქედი, რომლის უმაღლესი მწვერვალია - ცივი (1991 მ). თელავის მუნიციპალიტეტს უჭირავს კახეთის კავკასიონის სამხრეთ-დასავლეთ კალთები: საჯიხვე-გირგალისა და ნაქერალის.

თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია ქ. თელავი. მანძილი ადმინისტრაციულ ცენტრსა და თბილისს შორის – 90კმ-ია გომბორის მიმართულებით, ხოლო ბაკურციხის მიმართულებით 150 კმ-ია.

თელავის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა შეადგენს 58350-ს.

თავი II. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

2.1 შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებელი

თელავის მუნიციპალიტეტის 2019-2022 წლების შემოსულობების პროგნოზი საშუალოვადიან პერიოდში საბიუჯეტო შემოსულობების პროგნოზული გათვლებისას გათვალისწინებულ იქნა, 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტისა და თანმდევი მასალების (ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში შესატანი ცვლილების პროექტი, სადაც აღნიშნულია, რომ „მუნიციპალიტეტები უფლებამოსილი არიან, საკუთარი შემოსულობების ფარგლებში, დასაგეგმი წლის ბიუჯეტის ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლით განსაზღვრული ასიგნებები გაზარდონ მიმდინარე წლის ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებულ ოდენობასთან შედარებით არაუმეტეს დასაგეგმი წლისათვის მთლიანი შიდა პროდუქტის პროგნოზირებული ნომინალური ზრდის პროცენტული მაჩვენებლით“. ასევე 2019 წლიდან მუნიციპალიტეტებისათვის დამატებული ღირებულების გადასახადს ახალი განაწილების სისტემის გათვალისწინებით)

გათვალისწინებით. დღგ-დან შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები დათვლილია საბიუჯეტო კოდექსში გათვალისწინებული ცვლილებების (კანონპროექტის 71-ე მუხლი) შესაბამისად. მუნიციპალიტეტის 2019-2022 წლის შემოსავლებისა და ხარჯების საპროგნოზო აგრეგირებული მაჩვენებლები განისაზღვრა შემდეგნაირად:

დასახელება	2018 წლის გეგმა			2019 წლის პროექტი			2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის				
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები			
შემოსავლები	25,445.50	7,193.15	18,252.34	20,919.35	0.00	20,919.35	22,028.35	23,361.65	24,843.55
გადასახადები	5,500.00	0.00	5,500.00	17,835.30	0.00	17,835.30	19,040.10	20,343.40	21,840.30
გრანტები	17,049.40	7,193.15	9,856.24	285.00	0.00	285.00	285.00	285.00	285.00
სხვა შემოსავლები	2,896.10	0.00	2,896.10	2,799.05	0.00	2,799.05	2,703.25	2,733.25	2,718.25
ხარჯები	17,559.23	721.51	16,837.72	17,463.55	0.00	17,463.55	18,618.55	20,349.05	21,658.45
შრომის ანაზღაურება	2,793.50	0.00	2,793.50	2,739.80	0.00	2,739.80	2,772.20	2,772.20	2,772.20
საქონელი და მომსახურება	4,410.61	303.60	4,107.01	4,554.30	0.00	4,554.30	4,721.40	4,867.20	4,932.90
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
პროცენტი	204.02	0.00	204.02	110.50	0.00	110.50	74.20	52.20	44.70
სუბსიდიები	7,334.85	0.00	7,334.85	8,213.50	0.00	8,213.50	9,344.75	10,914.45	12,136.65
გრანტები	23.00	0.00	23.00	12.00	0.00	12.00	12.00	12.00	12.00
სოციალური უზრუნველყოფა	1,403.45	0.00	1,403.45	1,239.40	0.00	1,239.40	1,239.60	1,247.60	1,256.60
სხვა ხარჯები	1,389.79	417.91	971.88	594.05	0.00	594.05	454.40	483.40	503.40
საოპერაციო საღდო	7,886.27	6,471.64	1,414.62	3,455.80	0.00	3,455.80	3,409.80	3,012.60	3,185.10
არაფინანსური აქტივების ცვლილება	11,159.10	7,824.84	3,334.26	3,080.10	0.00	3,080.10	3,094.50	2,917.40	3,082.40
ზრდა	11,659.10	7,824.84	3,834.26	3,630.10	0.00	3,630.10	3,464.50	3,287.40	3,432.40
კლება	500.00	0.00	500.00	550.00	0.00	550.00	370.00	370.00	350.00
მთლიანი საღდო	3,272.84	-1,353.20	-1,919.64	375.70	0.00	375.70	315.30	95.20	102.70

დასახელება	2018 წლის გეგმა			2019 წლის პროექტი			2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის				
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები			
ფინანსური აქტივების ცვლილება	- 3,640.74	-1,353.20	-2,287.54	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
ზრდა	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
ვალუტა და დეპოზიტები	0.00			0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
სესხები	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
აქციები და სხვა კაპიტალი	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
სხვა დებიტორული დავალიანებები	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
კლება	3,640.74	1,353.20	2,287.54	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
ვალუტა და დეპოზიტები	3,640.74	1,353.20	2,287.54	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
სესხები	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
აქციები და სხვა კაპიტალი	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
სხვა დებიტორული დავალიანებები	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
ვალდებულებების ცვლილება	-367.90	0.00	-367.90	-375.70	0.00	-375.70	-315.30	-95.20	-102.70
ზრდა	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
საშინაო	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00

დასახელება	2018 წლის გეგმა			2019 წლის პროექტი			2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის				
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები			
საგარეო	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
კლება	367.90	0.00	367.90	375.70	0.00	375.70	315.30	95.20	102.70
საშინაო	367.90	0.00	367.90	375.70	0.00	375.70	315.30	95.20	102.70
საგარეო	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
ბალანსი	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00

2.2 გასული და მიმდინარე წლის ბიუჯეტების შესრულება

2017 წელი - ბიუჯეტის შესრულების ანალიზი

2017 წელს თელავის მუნიციპალიტეტი გაყოფილი იყო ორ მუნიციპალიტეტად - თვითმმართველი ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტი და თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტი. შესაბამისად ბიუჯეტიც იყო ცალ-ცალკე.

ქალაქ თელავის ბიუჯეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები) გეგმა განისაზღვრა 15572.19 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 15594.11 ათასი ლარი, რამაც გეგმის 100,14% შეადგინა. მათ შორის:

საშემოსავლო გადასახადიდან 2017 წლის განმავლობაში შემოვიდა 1153.73 ათ. ლარი. დაგეგმილი იყო 1280.0 ათ.ლარი და გეგმა შესრულდა 90.14%-ით.

ქონების გადასახადიდან შემოვიდა 1261.45 ათ. ლარი. დაგეგმილი იყო 1270.0 ათ.ლარი და გეგმა შესრულდა 99.33%-ით.

მათ შორის - საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადიდან შემოვიდა 865.5 ათ. ლარი;

- ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადიდან შემოსულია 42.06 ათ.ლარი;

- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადიდან შემოვიდა 4.17 ათ. ლარი;

- არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადიდან შემოვიდა 344.53 ათ. ლარი;

გრანტებიდან მიღებული შემოსავლები შესრულდა 98.57%-ით, დაგეგმილი იყო 10900.45 ათ.ლარი ფაქტმა შეადგინა 10744.7 ათ.ლარი,

მათ შორის - გათანაბრებითი ტრანსფერი - 100 %-ით, გეგმა 6820.10 ათ.ლარი, ხოლო ფაქტი 6820.10 ათ.ლარი.

- მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად - 88.14%-ით, გეგმა 162,0 ათ.ლარი, მიღებულმა საკასო შემოსავალმა შეადგინა 162,0 ათ. ლარი, ხოლო ფაქტიურად აისახა 142.78 ათ.ლარი. სხვაობა (19,22 ათ. ლარი) გამოწვეულია 2016 წლის მიზნობრივი ტრანსფერიდან დარჩენილი ნაშთის სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნებით.

- ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერი - გეგმა შესრულდა 96.52%-ით, დაგეგმილი იყო 3918.35 ათ.ლარი, ხოლო ფაქტი შეადგენს 3781.82 ათ.ლარს.

სხვა შემოსავლების გეგმა შესრულდა 113.9%-ით, დაგეგმილი იყო 1975.74 ათ.ლარი, ხოლო ფაქტმა შეადგინა 2250.4 ათ.ლარი:

აქედან: შემოსავლები საკუთრებიდან შემოსავალმა შეადგინა 217.24 ათ.ლარი მ.შ.:

პროცენტებიდან მიღებულმა შემოსავალმა 12 თვის განმავლობაში 129.72 ათ.ლარი.

მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის შეადგინა 28.03 ათ.ლარი;

მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 59.49 ათ. ლარი.

საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია - გეგმა შესრულდა 107.35%-ით, დაგეგმილი იყო 1581.74 ათ.ლარი, ხოლო ფაქტმა შეადგინა 1697.98 ათ.ლარი აქედან:

სანებართვო მოსაკრებლიდან შემოვიდა 12.99 ათ.ლარი. დაგეგმილი იყო 14.0 ათ.ლარი, გეგმა შესრულდა 92.82%-ით;

სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლიდან შემოვიდა 1.8 ათ.ლარი.

სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლიდან შემოვიდა 1534.0 ათ.ლარი. გეგმა შესრულდა 107.05%-ით;

მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის შემოსავალმა შეადგინა 114.15 ათ. ლარი. დაგეგმილი იყო 115,0 ათ.ლარი და შესრულდა 99.26%-ით.

შემოსავალმა მომსახურების გაწვიდან შეადგინა 35.04 ათ.ლარი, გეგმა შესრულდა 197.94 %-ით, გეგმა შეადგენდა 17.7 ათ.ლარს.

ჯარიმებიდან და საურავებიდან შემოსავლების გეგმა შესრულდა 133.47%-ით. მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 333.67 ათასი ლარი.

შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლებიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 1.51 ათასი ლარი.

შემოსავალმა არაფინანსური აქტივების კლებიდან შეადგინა 183.82 ათ.ლარი, გეგმა შესრულდა 125.9%-ით, მ.შ. 6.38 ათ.ლარი - შემოსულობა სახელმწიფო არასაცხოვრებელი შენობების გაყიდვიდან, რომლებიც განლაგებულია ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების (გარდა ა/რესპუბლიკების ადგილ. თვითმ. ერთეულებისა) ტერიტორიაზე და სახელმწიფოს სარგებლობაშია; 5,2 ათ. ლარი - შემოსულობა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების გაყიდვიდან; 1,15 ათ. ლარი - შემოსულობა მიწაზე უფლების აღიარებიდან; 127,0 ათ.ლარი - შემოსულობა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გაყიდვიდან; 44,09 ათ.ლარი - შემოსულობა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გაყიდვიდან, რომელიც განლაგებულია ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების (გარდა ა/რესპუბლიკების ადგილ. თვითმ. ერთეულებისა) ტერიტორიაზე.

რაც შეეხება 2017 წელს **გადასახდელების** საკასო შესრულებას ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით:

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების გეგმა შესრულდა 88.03%-ით, გეგმით გათვალისწინებული იყო 2271.0 ათ.ლარი, ხოლო ფაქტმა შეადგინა 1999.1 ათ.ლარით.

თავდაცვის დაფინანსების გეგმა შესრულდა 76.19 %-ით, დაგეგმილი იყო - 98.8 ათ. ლარი, შესრულდა - 75.3 ათ. ლარით.

საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების დაფინანსებისათვის დაგეგმილი იყო - 134,4 ათ. ლარი, ხოლო ფაქტმა შეადგინა 36,0 ათ.ლარი .

ეკონომიკურ საქმიანობაში გეგმა შესრულდა 74,1%-ით. დაგეგმილი იყო - 6769,4 ათასი ლარი, შესრულდა 5016,2 ათასი ლარით.

გარემოს დაცვა - გეგმა შესრულდა 98,98%-ით. დაგეგმილი იყო - 708,9 ათ. ლარი, შესრულდა 701,7 ათ. ლარით, აღნიშნული კლასიფიკაციით მუხლი მოიცავს დასუფთავების ღონისძიებების და გარემოს დაცვის ფარგლებში განსახორციელებელ ღონისძიებებს.

საბინაო კომუნალური მეურნეობა - გეგმა შესრულდა 97,95%-ით. დაგეგმილი იყო -1223,8 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 1198,8 ათ. ლარი

ჯანმრთელობის დაცვის სფეროში გეგმა შესრულდა 100 %-ით. დაგეგმილი იყო 78,0 ათ.ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 78,0 ათ.ლარი.

გეგმა - დასვენების კულტურის და რელიგიის სფეროში შესრულდა 81,79%-ით. დაგეგმილი იყო 2694,4 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 2203,7 ათ. ლარი.

განათლების სფეროში დაგეგმილი იყო - 2137,3 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 1884,4 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 88,17 %-ით.

რაც შეეხება სოციალურ დაცვას, შესრულდა 87,15% საკასო შესრულებამ შეადგინა 877,9 ათ. ლარი.

2017 წელს განსაზღვრულ პრიორიტეტებზე მიმართულმა სახსრებმა შეადგინა 14286.82 ათასი ლარი, რაც გეგმის (17382.58 ათასი ლარი) 82.2%-ია. მათ შორის:

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია - საკასო შესრულება - 6,920.48 ათ. ლარი ხოლო გეგმა - 8,749.3 ათ. ლარი;

განათლება - დაგეგმილი იყო - 2,137.3 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა - 1,884.43 ათ. ლარი;

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტის პრიორიტეტის დასაფინანსებლად გათვალისწინებული იყო 2,694.4 ათ. ლარი, ხოლო შესრულებამ შეადგინა 2,203.67 ათ. ლარი;

მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - დაგეგმილი იყო 1,086.2 ათ. ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 956.74 ათ. ლარი;

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსებამ შეადგინა 2,210.30 ათ. ლარი, დაგეგმილი იყო 2,482.2 ათ. ლარი;

თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - დაგეგმილი იყო 233.1 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 111.21 ათ. ლარი;

2017 წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხით და ადგილობრივი ბიუჯეტით ქ. თელავში განხორციელდა მრავალი ინფრასტრუქტურული პროექტი.

გზების, ხიდების მშენებლობის, რეკონსტრუქციის, მოვლა-შენახვისა და მოწესრიგების ხელშეწყობის ღონისძიებების ფარგლებში განხორციელდა სამუშაოები - ქ. თელავში 9 აპრილის ქუჩის რეაბილიტაცია (შესახვევებით)- მოასფალტება, ტროტუარების მოწყობით, ელენე ახვლედიანის ქუჩის რეაბილიტაცია (შესახვევებით - მოასფალტება, ტროტუარების და სანიაღვრეების მოწყობით, 26 მაისის ქუჩის რეაბილიტაცია (შესახვევებით) - მოასფალტება, ტროტუარების და სანიაღვრეების მოწყობით, დიუნანის, იორდანიშვილის, კველიშვილების, მოსაშვილის, ოძელაშვილის, ქუჩიშვილის და ცაბაძის ქუჩები, ნაფარეულის ქუჩის რეაბილიტაცია, საითნოვას, დოდაშვილის, შიუკაშვილის, არსენიშვილის, თეიმურაზ II-ის ქუჩების ასფალტის საფარის რეაბილიტაცია, რეაბილიტაცია ჩაუტარდა ბიბერახის და ნადიკვრის ქუჩებზე არსებულ ტროტუარებს, არსენიშვილის ქუჩიდან პარკ ნადიკვარამდე სამხრეთის მხარეს მოეწყო ახალი ტროტუარი, განხორციელდა ჭავჭავაძის მოედნიდან თეიმურაზ II-ის ქუჩამდე კიბეების კაპიტალური შეკეთება. თამარის ქუჩაზე მოეწყო სიჩქარის შემზღვევა ბორცვები, ზუზუმბოს ქუჩაზე ბავშვთა გასართობ მოედნამდე მოეწყო

საფეხმავლო ხიდი. ქალაქის ქუჩებში დაიხაზა საგაზაო ნიშნები. განხორციელდა ალაზნის გამზ. მშენებარე სპორტული კომპლექსის მიმდებარე საგაზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები. ქალაქის ტერიტორიაზე დამონტაჟდა ახალი ლედ სანათები, რეაბილიტაცია ჩაუტარდა რობაქიძის ქუჩაზე სანიაღვრე არხს.

ქალაქ თელავისათვის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდა მე-3 და მე-5 ბაგა-ბაღებში სველი წერტილების რეაბილიტაციის და მომველებული ხის კარ-ფანჯრების მეტალო-პლასმასით შეცვლის სამუშაოები. ქალაქში არსებული 9 საბავშვო ბაღი აღიჭურვა სამეთვალყურეო კამერებით. მნიშვნელოვანია სკოლამდელი ასაკის აღსაზრდელებისათვის კეთილმოწყობილი გარემოს შექმნა, აღზრდა-განვითარებისთვის საჭირო პირობების შექმნა.

მომავალ თაობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს სპორტის ხელშეწყობა. მოზარდების და სპორტსმენების კომფორტისათვის რეაბილიტაცია ჩაუტარდა კრივისა და ძალოსნობის დარბაზის სველ წერტილებს. ალაზნის გამზ. მშენებარე სპორტული კომპლექსისათვის მოეწყო გარე კომუნიკაციები

მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მუნიციპალიტეტში განხორციელდა სხვადასხვა სოციალური პროგრამა.

რაც შეეხება თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების ანალიზს

შემოსულობების გეგმა შესრულდა 101,1%-ით. 2017 წელს დაგეგმილი იყო **10820.2** ათასი ლარი (ნაშთის ცვლილების გარეშე), მიღებულმა საკასო შემოსავალმა კი შეადგინა **10937.21** ათასი ლარი.

გადასახადებიდან 2017 წლის განმავლობაში შემოვიდა **3495.91** ათასი ლარი. გეგმა შესრულდა 98.5%-ით. აქედან:

საშემოსავლო გადასახადიდან მიღებული შემოსავლებიდან შემოვიდა 943.91 ათ. ლარი, საწარმოთა ქონების გადასახადიდან შემოვიდა 1196.58 ათასი ლარი, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადიდან შემოვიდა 778.01 ათასი ხოლო, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადიდან შემოვიდა 558.61 ათასი ლარი.

გრანტებიდან მიღებული შემოსავლების გეგმა შესრულდა 99.5 %-ით. დაგეგმილი იყო 5549,56 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 5521,33 ათ. ლარი; მათ შორის: გათანაბრებითი ტრანსფერი – დაგეგმილი იყო 2140,6 ათ. ლარი, ფაქტმა შეადგინა - 2140,6 ათ. ლარი, შესრულდა 100%-ით, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად – 100%-ით, დაგეგმილი იყო 130,0 ათ. ლარი, საკასო შესრულება - 130,0 ათ. ლარი, ხოლო ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები - 99.1%-ით, გეგმა - 3278,96 ათ. ლარი, საკასო შესრულება - 3250,73 ათ. ლარი;

პროცენტებიდან მიღებულმა შემოსავალმა 2017 წლის განმავლობაში შეადგინა 56.78 ათასი ლარი, დაგეგმილი იყო 80.0ათ. ლარი. გეგმა შესრულდა 71%-ით.

მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის დაგეგმილი იყო 250,0 ათ. ლარი, ბიუჯეტში შემოვიდა 541.22 ათასი ლარი.

სანებართვო მოსაკრებელიდან მიღებული შემოსავალი 2017 წლის განმავლობაში დაგეგმილი იყო 20,0 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 46.49 ათ. ლარი.

მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 45,07 ათ. ლარი.

2017 წლის განმავლობაში მიღებულმა შემოსავალმა ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის შეადგინა 63.33 ათ. ლარი, წლის გეგმა იყო 100.0 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 63,3 %-ით.

ჯარიმებიდან და საურავებიდან შემოსავლების გეგმა შესრულდა 62,1 %-ით. დაგეგმილი იყო 550,0 ათასი ლარი. მიღებულმა შემოსავალმა კი შეადგინა 341,72 ათასი ლარი.

შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლებიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 31,84 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 790,6 ათასი ლარი, გეგმა იყო 668.62 ათ. ლარი. გეგმა შესრულდა 118,2%-ით, მათ შორის: 8,98 ათ.ლარი - შემოსულობა სახელმწიფო არასაცხოვრებელი შენობების გაყიდვიდან, რომლებიც განლაგებულია ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების (გარდა ა/რესპუბლიკების ადგილ. თვითმ. ერთეულებისა) ტერიტორიაზე და სახელმწიფოს სარგებლობაშია; 4,4 ათ. ლარი - შემოსულობა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების გაყიდვიდან; 68,8 ათ.ლარი - შემოსულობა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გაყიდვიდან, რომელიც განლაგებულია ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების (გარდა ა/რესპუბლიკების ადგილ. თვითმ. ერთეულებისა) ტერიტორიაზე; 211,56 ათ.ლარი - შემოსულობა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გაყიდვიდან; 434,36 ათ.ლარი - შემოსულობა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გაყიდვიდან; 62,5 ათ. ლარი - შემოსულობა მიწაზე უფლების აღიარებიდან;

რაც შეეხება 2017 წელს **გადასახდელების** საკასო შესრულებას ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით:

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯების გეგმა შესრულდა 99.81%-ით. დაგეგმილი იყო 2111,6 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 2107,6 ათასი ლარი.

თავდაცვის ხარჯების გეგმა შესრულდა 88,78 %-ით, დაგეგმილი იყო - 131,7 ათასი ლარი, შესრულდა - 116,91 ათასი ლარით;

საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოების გეგმა შესრულდა 100%-ით, დაგეგმილი იყო 43,1 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 43,1 ათ. ლარი;

ეკონომიკურ საქმიანობაში ხარჯების გეგმა შესრულდა 92,79 %-ით. დაგეგმილი იყო - 3284,5 ათასი ლარი, შესრულდა 3047,7 ათასი ლარით.

გარემოს დაცვის ხარჯების გეგმა შესრულდა 95,56 %-ით. დაგეგმილი იყო - 310,7 ათასი ლარი, შესრულდა 296,94 ათასი ლარით.

საბინაო კომუნალური მეურნეობის ხარჯების გეგმა შესრულდა 94,65%-ით. დაგეგმილი იყო - 2010,1 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 1902,5 ათასი ლარი.

ხარჯების გეგმა დასვენების კულტურის და რელიგიის სფეროში შესრულდა 98,91%-ით. დაგეგმილი იყო 1379,0 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 1363,95 ათასი ლარი.

განათლების სფეროში დაგეგმილი იყო - 2029,4 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 2027,4 ათასი ლარი. გეგმა შესრულდა 99,9 %-ით.

რაც შეეხება სოციალურ დაცვის ხარჯების გეგმებს, იგი შესრულდა 96,36% -ით. დაგეგმილი იყო - 606,1 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 583,98 ათასი ლარი.

2017 წელს განსაზღვრულ პრიორიტეტებზე მიმართულმა სახსრებმა შეადგინა 11618,18 ათასი ლარი, რაც გეგმის (12034,22 ათასი ლარი) 96,5%-ია. მათ შორის:

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია - საკასო შესრულება - 5248,26 ათ. ლარი ხოლო გეგმა - 5606,26 ათ. ლარი;

განათლება - დაგეგმილი იყო - 2031,1 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა - 2029,1 ათ. ლარი;

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტის პრიორიტეტის დასაფინანსებლად გათვალისწინებული იყო 1379,7 ათ. ლარი, ხოლო შესრულებამ შეადგინა 1364,7 ათ. ლარი;

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - დაგეგმილი იყო 614,2 ათ. ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 592,1 ათ. ლარი;

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსებამ შეადგინა 2228,0 ათ. ლარი, დაგეგმილი იყო 2223,98 ათ. ლარი;

თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - დაგეგმილი იყო 174,8 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 160,1 ათ. ლარი;

2017 წლის განმავლობაში თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტში განხორციელდა რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხით და ადგილობრივი თანადაფინანსებით სოფლებში - ბუმეტი, იყალთო, ვარდისუბანი, კონდოლი, კურდღელაური, შალაური, წინანდალი, აკურა, ვანთა - ცენტრალური და შიდა სასოფლო გზების მოასფალტება, სოფ. თეთრწყლებში, ფშაველში და კისისხევში სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია.

ადგილობრივი ბიუჯეტით განხორციელდა სოფ. წინანდლის, გულგულის, ვარდისუბნის, რუისპირის სასმელი წყლის მიწოდების გაუმჯობესების მიზნით წყლის სისტემების რეაბილიტაცია, ჭაბურღილის დაბურღვა და სამარაგე ავზების მოწყობა. მოეწყო სანიაღვრე არხები სოფ. კურდღელაურში, ვანთაში და რუისპირში.

მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა აგრეთვე საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია და სკოლამდელი ასაკის აღსაზრდელებისათვის კეთილმოწყობილი გარემოს შექმნა, აღზრდა-განვითარებისთვის საჭირო პირობების შექმნა. ნაწილობრივი რეაბილიტაცია ჩაუტარდათ საბავშვო ბაღებს - რუისპირში, აკურაში, ვარდისუბანში, კისისხევში, ართანაში, დასრულდა სოფ. წინანდლის და სოფ. ფშავლის საბავშვო ბაღების მშენებლობა, მოეწყო გათბობის სისტემები სოფ. რუისპირის, ვარდისუბნის, კონდოლის, წინანდლის, სანიორის, ვანთის და აკურის საბავშვო ბაღებში.

თელავის მუნიციპალიტეტი განაგრძობს სპორტისა და კულტურის განვითარებისათვის სათანადო პირობების შექმნას, სპორტსმენთა მომზადების ორგანიზაციულ და მეთოდურ ხელშეწყობას, მონაწილეობის მიღებას რესპუბლიკურ ღონისძიებებზე. პროგრამის ფარგლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპორტული და დასვენების ობიექტების

ინფრასტრუქტურის მოწყობა და რეაბილიტაცია. მოეწყო მინი მოედნები სოფ. კურდღელაურში, გულგულაში და ფშაველში, რეაბილიტაცია ჩაუტარდა სოფ. წინადლის და სოფ. აკურის სამუსიკო სკოლებს.

კურდღელაურის საჭადრაკო კლუბი უკვე ორგანიზებას უწევს სხვადასხვა ტურნირებს, სადაც მონაწილეობას იღებენ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ჭადრაკით დაინტერესებული ბავშვები. აღნიშნული პროგრამის განხორციელება მნიშვნელოვანია ბავშვებსა და მოზარდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების და სხვადასხვა სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების განხორციელებისთვის. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული კულტურის ობიექტების, ბიბლიოთეკების, სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობა, წიგნადი ფონდის განახლება, კულტურული ღონისძიების ხელშეწყობა, ახალგაზრდული ღონისძიებების ჩატარების ხელშეწყობა.

მუნიციპალიტეტი ზრუნავს მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. მუნიციპალიტეტში მოქმედი სხვადასხვა სოციალური პროგრამით ისარგებლა დაახლოებით 3000-მა ბენეფიციარმა.

2018 წლის ბიუჯეტის მაჩვენებლების შესახებ

2018 წლის თელავის მუნიციპალიტეტის დაზუსტებული ბიუჯეტის მოცულობა შეადგენს 29586,24 ათ. ლარს. ბიუჯეტის შემოსავლების სახით 2018 წლის 9 თვის მონაცემებით მობილიზებულია 15170,55 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (25445,5 ათასი ლარი) 59,6%-ია, მათ შორის:

გადასახადების ფაქტიურმა შესრულებამ 9 თვეში შეადგინა 4544,52 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (5500,0 ათასი ლარი) 82,6%-ია;

გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია 8616,2 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (17049,4 ათასი ლარი) 50,5%-ია, აქედან, კერძოდ: საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები - 10,55 ათ. ლარი; გათანაბრებითი ტრანსფერი – 7170,3 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად – 214,2 ათასი ლარი, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მიღებული ტრანსფერი - 1221,15 ათასი ლარი.

სხვა შემოსავლების სახით მობილიზებულია 2009,84 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (2896,1 ათასი ლარი) 69,4%-ია, მათ შორის: პროცენტების სახით მიღებულია 173,8 ათასი ლარი, რენტის სახით მობილიზებულია 224,35 ათასი ლარი, საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მიღებულია 1207,41 ათასი ლარი, სანქციები (ჯარიმები და საურავები) – 401,08 ათასი ლარი, შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლებიდან მიღებულია 3,2 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივებიდან მობილიზებულია 342,04 ათასი ლარი, რაც გეგმის (500,0 ათასი ლარი) 68,4%-ია, მათ შორის: ძირითადი აქტივების გაყიდვიდან 272,01 ათასი ლარი, არაწარმოებული აქტივების (მიწის) გაყიდვიდან 70,03 ათასი ლარი,

2018 წლის ბიუჯეტით (29586,24 ათასი ლარი) გათვალისწინებულია:

- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია - 13871,96 ათ. ლარი
- განათლება - 4764,23 ათ. ლარი
- კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი - 4376,30 ათ. ლარი

- მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფა -1762.70 ათ. ლარი
- წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება - 4551,31 ათ. ლარი
- თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 259.75 ათ. ლარი

2018 წელს თელავის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სხვადასხვა ფენისათვის დახმარებების და სხვადასხვა შეღავათებით უზრუნველყოფისათვის, როგორცაა: ოპერაციული, სტაციონარული და ამბულატორიული მომსახურების დაფინანსება, მკურნალობისათვის საჭირო მედიკამენტების და სამედიცინო დანიშნულების დამხმარე საშუალებების შესაძენად ფინანსური დახმარება, მრავალშვილიან ოჯახების დახმარება, ახალდაბადებულთა ოჯახების დახმარება, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა და ჩერნობილის ავარიის სალიკვიდაციო სამუშაოებში მონაწილე მკვეთრად გამოხატული შ.შ.მ პირთა (18 წლამდე) შვილების დახმარება, მსოფლიო ომის მონაწილე, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლ (სამაჩაბლო-აფხაზეთი) დევნილ და უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების დაფინანსება, საერო და რელიგიურ დღესასწაულებზე სხვადასხვა კატეგორიის ადამიანებისთვის სასაჩუქრე ამანათების გაცემა (მათ შორის ფულადი) და სხვადასხვა ღონისძიებების დაფინანსება, სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში მყოფი მოქალაქეებისათვის ზამთრის სეზონზე სათბობით უზრუნველსაყოფად დახმარება, დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფა, დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართულ პირების დახმარება, მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში მყოფ ორგანიზაციაში მიღებული საწარმოო ტრამვის შემდგომი კომპენსაციის გაცემა, უფასო სასადილოთი მომსახურების პროგრამა და სხვა, გათვალისწინებულია 1631,02 ათასი ლარი; ხოლო ჯანდაცვის მიმართულებით (ააიპ თელავის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი) -80,8 ათ. ლარი.

▪ 2018 წელს საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციისათვის დაგეგმილია 7808,92 ათასი ლარი, გრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებისკენ მიმართული მრავალმხრივი სამუშაოები, რათა გაუმჯობესდეს ცენტრალური და შიდასასოფლო გზების მდგომარეობა;

▪ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობისათვის გამოყოფილია 200.0 ათასი ლარი. ხორციელდება მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში სადარბაზოების სარემონტო სამუშაოები, სადარბაზოებში სენსორული სანათების დამონტაჟება და სხვა; აგრეთვე ფასადის რეაბილიტაციისათვის, სტიქიისაგან დაზიანებული სამედიცინო ობიექტების, საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაციისათვის გათვალისწინებულია 931,92 ათ. ლარი;

▪ მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის წყალმომარაგების მომსახურების გაუმჯობესების, წყლის სისტემების ფუნქციონირების და გამართული მუშაობის უზრუნველყოფისათვის გათვალისწინებულია 2009,16 ათ. ლარი;

▪ გარე განათებით უზრუნველყოფისათვის გათვალისწინებულია 958,47 ათ.ლარი, პროგრამის ფარგლებში ხორციელდება გარე განათების სისტემის მოვლა-ექსპლოატაცია, მოხმარებული ელ. ენერჯის ანაზღაურება, მუნიციპალიტეტის სოფლებში გარე განათებების მოწყობა.

▪ ეკოლოგიურად სუფთა გარემოს უზრუნველყოფისათვის დაგეგმილია 772,05 ათ. ლარი, პროგრამის ფარგლებში ყოველდღიურად ხორციელდება ქუჩების დაგვა-დასუფთავება, საყოფაცხოვრებო, მყარი ნარჩენების, ქუჩების მონახვეტის შეგროვება და ნაგავსაყრელ პოლიგონამდე ტრანსპორტირება; სტიქიური ნაგავსაყრელებიდან ნაგვის გატანა და სხვა.

▪ ჩამდინარე წყლების სისტემის მოწყობა-რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის ღონისძიებებისთვის გათვალისწინებულია 237,15 ათ. ლარი;

▪ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კეთლმოწყობილი გარემოს შექმნისთვის გათვალისწინებულია 708,61 ათ. ლარი;

- გარემოს დაცვის ღონისძიებების, ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის, საზოგადოებრივი საპირფარეშოების მოვლა-პატრონობის და რეაბილიტაციის ღონისძიებების, პარკების, სკვერებისა და სხვა გამწვანებული ზონების მოწყობის და მოვლა-პატრონობის ღონისძიებები, სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ღონისძიებები, მაწანწალა ცხოველებისგან მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებების განსახორციელებლად გათვალისწინებულია 296,56 ათ. ლარი;

- კულტურის, სპორტის და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შენობების და დასვენების ობიექტების კეთილმოწყობის, რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის, აგრეთვე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვის მიზნით გამოყოფილია 1883,46 ათ. ლარი;

- სკოლამდელი აღზრდის, სპორტის და კულტურის ორგანიზაციების ხელშეწყობისთვის გათვალისწინებულია 7074,76 ათ. ლარი;

- სპორტული, კულტურული და ახალგაზრდული ღონისძიებების დასაფინანსებლად, აგრეთვე საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობისათვის გათვალისწინებულია 182,31 ათ. ლარი.

- წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების, თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოების დაფინანსებისათვის გამოყოფილია 4811,05 ათ. ლარი.

2019 წლის შემოსულობების პროგნოზი

2019 წლისათვის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი 21469,35 ათასი ლარის ოდენობით განისაზღვრება. აქედან შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები 20919,35 ათასი ლარი იქნება, მათ შორის გადასახადების წილი 17835,3 ათას ლარს გაუტოლდება (მათ შორის დამატებული ღირებულების გადასახადი 13435,3 ლარის ოდენობით, ხოლო ქონების გადასახადი 4400,0 ათასი ლარი იქნება), გრანტების - მიზნობრივი ტრანსფერი- საპროგნოზო 285,0 ათასი ლარი იქნება, ხოლო სხვა შემოსავლების წილი 2799,05 ათასი ლარი.

2019 წლისათვის არაფინანსური აქტივებიდან მისაღები თანხების მოცულობა 550,0 ათასი ლარია ნავარაუდები.

თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების დაფინანსების წყაროს მთლიანად წარმოადგენს ბიუჯეტის შემოსულობები და არ არის დაგეგმილი ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული თავისუფალი სახსრების (ნაშთის) გამოყენება.

თელავის მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა

2019-2022 წლებში ეფექტურად გაგრძელდება ყველა ისეთი საჭირო კომუნიკაციების მშენებლობა - რეაბილიტაცია, როგორცაა გზები, გარე განათება, წყალმომარაგება და სხვა. რათა მაქსიმალურად ხელი შეეწყოს ინვესტიციების მოზიდვას, ეკონომიკის და ტურიზმის განვითარებას.

თელავის მუნიციპალიტეტისათვის სკოლამდელი განათლების განვითარების სისტემის სტრატეგიული მიზანია, სკოლამდელი აღზრდის სისტემა გახდეს სკოლასა და შემდგომ ცხოვრებაში წარმატების მიღწევის ინსტრუმენტი.

თელავის მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურის და ხელოვნების სფეროებში სხვადასხვა პროექტების შემუშავებას, სპორტის განვითარებისათვის სათანადო პირობების შექმნას, სპორტსმენტა მომზადების ორგანიზაციული და მეთოდური ხელშეწყობას, მონაწილეობის მიღებას რესპუბლიკურ ღონისძიებებზე. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული კულტურის ობიექტების, ბიბლიოთეკების, სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობა, წიგნადი ფონდის განახლება, კულტურული დაწესებულებებისათვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, კულტურული ღონისძიების ხელშეწყობა, ახალგაზრდული ღონისძიებების ჩატარების ხელშეწყობა და სხვა.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. თვითმმართველობა არსებული რესურსებისა და კომპეტენციის ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებითა და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება. განხორციელდება მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით და ფართით უზრუნველყოფა, პროგრამა ითვალისწინებს მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტული მიმართულებებია:

- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია;
- სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობა;
- კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;
- ტურიზმის განვითარება

თელავის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების და პრიორიტეტების მოცულობები 2018-2022 წლებში

(ათასი ლარი)

კოდი	თელავის მუნიციპალიტეტი	2018 წლის გეგმა			2019 წლის პროექტი			2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი
		სულ	სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები	სულ	სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები			
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	4,551.31	0.00	4,551.31	4,553.70	0.00	4,553.70	4,362.60	4,104.80	4,064.80
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	259.75	0.00	259.75	190.00	0.00	190.00	190.00	190.00	190.00
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	13,871.96	7,863.13	6,008.83	5,630.15	0.00	5,630.15	6,161.70	6,058.20	6,306.50

კოდი	თელავის მუნიციპალიტეტი	2018 წლის გეგმა			2019 წლის პროექტი			2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი
		სულ	სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები	სულ	სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები			
04 00	განათლება	4,764.23	361.53	4,402.70	4,783.50	0.00	4,783.50	5,968.14	7,341.34	8,543.54
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	4,376.30	321.70	4,054.60	4,552.00	0.00	4,552.00	4,030.40	4,329.80	4,329.00
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1,762.70	0.00	1,762.70	1,760.00	0.00	1,760.00	1,685.51	1,707.51	1,759.71

თელავის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები, მათ ფარგლებში დაგეგმილი პროგრამების დაფინანსების მოცულობა, აღწერა, შედეგები და შეფასების ინდიკატორები

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება-ხელშეწყობა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის პარალელურად პრიორიტეტის შესაბამისად დაგეგმილი პროგრამის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

კოდი	თელავის მუნიციპალიტეტი	2018 წლის გეგმა			2019 წლის პროექტი			2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი
		სულ	სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები	სულ	სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები			
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	13,871.96	7,863.13	6,008.83	5,630.15	0.00	5,630.15	6,161.70	6,058.20	6,306.50

კოდი	თელავის მუნიციპალიტეტი	2018 წლის გეგმა			2019 წლის პროექტი			2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი
		სულ	სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები	სულ	სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები			
03 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა	7,808.92	6,384.18	1,424.74	2,015.35	0.00	2,015.35	2,075.20	2,104.20	2,220.00
03 02	კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	5,244.93	1,478.95	3,765.98	3,438.80	0.00	3,438.80	3,891.50	3,748.00	3,869.50
03 02 01	ბინათმშენებლობის ღონისძიებები	1,081.04	417.91	663.13	305.00	0.00	305.00	220.00	235.00	250.00
03 02 02	გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	958.47	36.83	921.64	930.00	0.00	930.00	1,040.00	1,055.00	1,065.00
03 02 03	გარემოს დაცვითი ღონისძიებები	1,150.80	263.75	887.05	913.00	0.00	913.00	1,250.00	1,070.00	1,095.00
03 02 03 01	დასუფთავების ღონისძიებები	772.05	0.00	772.05	833.00	0.00	833.00	1,100.00	910.00	920.00
03 02 03 02	ჩამდინარე წყლების სისტემის მოწყობა-რეაბილიტაციისა და ექსპლუატაციის ღონისძიებები	237.15	137.15	100.00	80.00	0.00	80.00	150.00	160.00	175.00
03 02 03 03	გარემოს დაცვის ღონისძიებები	141.60	126.60	15.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
03 02 04	სასმელი წყლის „სოკო“	5.00	0.00	5.00	5.00	0.00	5.00	6.00	7.00	8.00
03 02 05	სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	25.00	25.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
03 02 06	წყალმომარაგების ღონისძიებები	2,004.16	735.46	1,268.70	1,267.30	0.00	1,267.30	1,356.00	1,361.00	1,431.00

კოდი	თელავის მუნიციპალიტეტი	2018 წლის გეგმა			2019 წლის პროექტი			2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი
		სულ	სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები	სულ	სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები			
03 02 08	საზოგადოებრივი საპირფარეშოების მოვლა-პატრონობის და რეაბილიტაციის ღონისძიებები	20.46	0.00	20.46	18.50	0.00	18.50	19.50	20.00	20.50
03 03	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	803.11	0.00	803.11	155.00	0.00	155.00	195.00	206.00	217.00
03 03 01	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კეთილმოწყობის სამუშაოები	708.61	0.00	708.61	25.00	0.00	25.00	25.0	26.0	27.0
03 03 02	პარკების, სკვერებისა და სხვა გამწვანებული ზონების მოწყობის და მოვლა-პატრონობის ღონისძიებები	60.00	0.00	60.00	100.00	0.00	100.00	130.00	140.00	150.00
03 03 03	სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ღონისძიებები	34.50	0.00	34.50	30.00	0.00	30.00	40.00	40.00	40.00
03 04	მაწანწალა ცხოველებისგან მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებები	15.00	0.00	15.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
03 07	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	0.00	0.00	0.00	21.00	0.00	21.00	0.00	0.00	0.00

ა) საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01) პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული საგზაო

ინფრასტრუქტურის მდგომარეობის შენარჩუნება და ასფალტის საფარის ორმული შეკეთება, აღნიშნული პროგრამის დაფინანსების ფარგლებში განხორციელდება გზების და ქუჩების სარეაბილიტაციო სამუშაოები რაც გააუმჯობესებს არსებულ საგზაო ინფრასტრუქტურას. აგრეთვე ხორციელდება საგზაო მოძრაობის სხვადასხვა ტექნიკური საშუალებებით დარეგულირების (მოვლა-პატრონობის) მომსახურების შესყიდვა, საგზაო მოძრაობის დადგენილი წესების მიხედვით შესაბამისი საგზაო ნიშნების მოწყობა, დახაზვა და გადასასვლელების მოწესრიგება. აგრეთვე ზამთრის პერიოდში შეუფერხებელი მოძრაობის უზრუნველსაყოფად გზების გაწმენდა თოვლისაგან. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები ხელს შეუწყობს მგზავრთა შეუფერხებელ, კომფორტულ და უსაფრთხო გადაადგილებას.

მოსალოდნელი შედეგი: მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება.

რეაბილიტირებული საგზაო ინფრასტრუქტურა;

შედეგების შეფასების ინდიკატორი: რეაბილიტირებული გზების მაჩვენებელი.

ბ) კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ჩამდინარე წყლის სისტემების (ნიაღვარგამტარი და მიმღები კოლექტორების) რეაბილიტაცია, მოვლა-პატრონობა და ახლის მოწყობა, გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესება. ინფრასტრუქტურისა და გამწვანებული ზონების მოვლა-პატრონობა, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ამხანაგობების თანადაფინანსება, საზოგადოებრივი საპირფარეშოების შეკეთება, მოვლა-პატრონობის ღონისძიებები, წყალმომარაგების სისტემის მოვლა-შენახვის და მის ექსპლოატაციის ხარჯები და სხვა.

მოსალოდნელი შედეგი: განათებული მუნიციპალიტეტი, გაუმჯობესებული წყალმომარაგება და სანიტარული პირობები. საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა - ამხანაგობების თანადაფინანსებით.

შედეგების შეფასების ინდიკატორი: განათებული ქუჩების გაზრდილი მაჩვენებელი; სასმელი წყლის მიწოდების უზრუნველყოფის გაზრდილი მაჩვენებელი;

საყოფაცხოვრებო ნარჩენებისაგან გათავისუფლებული მუნიციპალიტეტი, დასუფთავების და ნარჩენების გატანის ინტესიურობის მაჩვენებელი. ამხანაგობის მიერ დასახული პრიორიტეტების მაჩვენებელი.

ბ.ა) ბინათმშენებლობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 01)

მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში შექმნილი საერთო პრობლემების გადაჭრის მიზნით ამხანაგობების მიერ წამოჭრილი თემების განხილვის შედეგად, საკრებულოს მიერ მიღებული წესის შესაბამისად, ბინათმშენებლობის თანადაფინანსების პრინციპით - ნაწილობრივ მოსახლეობის რესურსების გამოყენებით დაფინანსდება სახურავების, სადარბაზოების და სხვ. რეკონსტრუქცია - შეკეთების ღონისძიებები. აგრეთვე ბინათმშენებლობასთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებების დაფინანსება.

ბ.ბ) გარე-განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 02)

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ქუჩების განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე-განათების არსებული ქსელის

ექსპლუატაცია, მოვლა-პატრონობა, ახალი კვანძების მოწყობა და გარე-განათებაზე გახარჯული ელ.ენერჯის ხარჯების დაფინანსება.

ბ.გ) გარემოს დაცვითი ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 03) აღნიშნულის ფარგლებში ხორციელდება:

ბ.გ.ა) დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 03 01) მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენს კეთილსაიმედო სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფა, შესაბამისად, ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა, სტიქიური ნაგავსაყრელების დასუფთავება და სხვ.

ბ.გ.ბ) ჩამდინარე წყლების სისტემის მოწყობა-რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 03 02)

დიდი მნიშვნელობა ენიჭება სანიაღვრე ქსელების და კოლექტორების მოვლა-პატრონობას, გარკვეული ნაწილის აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოებს, სანიაღვრე ქსელების ნორმალური ფუნქციონირებას, ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება არსებული სანიაღვრე არხების მოვლა-შენახვა და მის რეაბილიტაცია - ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება;

ბ.დ) სასმელი წყლის „სოკო“ (პროგრამული კოდი 03 02 04)

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასმელი წყლით (ფანტანი „სოკო“) მომარაგების უზრუნველყოფა, მისი ხარჯების დაფინანსება;

ბ.ე) წყალმომარაგების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასმელი წყლით უკეთ მომარაგების მიზნით საჭირო ხდება ჭაბურღილების მოვლა-პატრონობა, დაზიანებული და მოძველებული სასმელი წყლის სისტემების შეკეთება, მოვლა-პატრონობა და მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება, ბუნებრივი წყლების ლაბორატორიული შემოწმება;

ბ.ვ) საზოგადოებრივი საპირფარეშოების მოვლა-პატრონობის და რეაბილიტაციის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 08)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი საპირფარეშოების მოვლა-პატრონობას მათი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად.

გ) მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)

პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კეთილმოწყობილი გარემოს შექმნას

მოსალოდნელი შედეგი: განხორციელებულია გამწვანების ღონისძიებები, უზრუნველყოფილია არსებული მწვანე საფარის და ნარგავების მოვლა-პატრონობა.

შეფასების ინდიკატორი: მოვლილი და გამწვანებული ტერიტორიების რაოდენობა, მოვლილი და დასუფთავებული სასაფლაო.

გ.ა) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03 01)

პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კეთილმოწყობილი გარემოს შექმნისათვის სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ღონისძიებების გატარებას.

გ.ბ) პარკების, სკვერებისა და სხვა გამწვანებული ზონების მოწყობის და მოვლა-პატრონობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03 02)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს დასასვენებელი პარკების, სკვერების და სხვა გამწვანებული ზონების მოვლა-პატრონობას. მწვანე ნარგავებით ტერიტორიების შევსება და მათი შენარჩუნება საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად გაიზარდოს მწვანე საფარი. სეზონური მცენარეებით დეკორატიულად გაფორმდება ქალაქის სხვადასხვა ტერიტორია. ჩატარებული იქნება სხვადასხვა სახის სამუშაოები (მწვანე საფარის გათიბვა, მწვანე ბალახის დაგროვება და გატანა, ხე - მცენარეების დეკორატიული სხვლა, მწვანე ნარგავების მორწყვა, სეზონურად მოყვავილე ერთწლიანი ყვავილების დარგვა,

მცენარეების ირგვლივ გამარგვლა);

გ.გ) სასაფლაოების მოვლა პატრონობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ღონისძიებების დაფინანსება.

2. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას. საბავშვო ბაგა-ბაღების აღსაზრდელთა განვითარების ხელშეწყობა და სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო - სააღმზრდელო გარემოს მნიშვნელოვან გაუმჯობესებას, საზოგადოების აქტიურ ჩართვას მიმდინარე საგანმანათლებლო-სააღმზრდელო პროცესებში, მათ ინტელექტუალური და შემოქმედებითი უნარების სტიმულირებას, ადგილობრივი საგანმანათლებლო - სააღმზრდელო დაწესებულებების მუშაობის გაუმჯობესებას, დახვეწასა და მოსახლეობის ინტერესებზე მორგებას. პრიორიტეტის ფარგლებში ხორციელდება ასევე, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის ხელშეწყობა.

კოდი	თელავის მუნიციპალიტეტი	2018 წლის გეგმა			2019 წლის პროექტი			2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი
		სულ	სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები	სულ	სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები			
04 00	განათლება	4,764.23	361.53	4,402.70	4,783.50	0.00	4,783.50	5,968.14	7,341.34	8,543.54
04 01	სკოლამდელი განათლება	4,679.23	361.53	4,317.70	4,695.00	0.00	4,695.00	5,870.14	7,243.34	8,445.54
04 01 01	ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო	4,017.00	0.00	4,017.00	4,545.00	0.00	4,545.00	5,520.14	7,043.34	8,195.54
04 01 02	სკოლამდელი განათლების ხელშეწყობის ღონისძიებები	662.23	361.53	300.70	150.00	0.00	150.00	350.00	200.00	250.00
04 02	პროფესიული განათლების ხელშეწყობა	85.00	0.00	85.00	88.50	0.00	88.50	98.00	98.00	98.00

ა) სკოლამდელი განათლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01)

სკოლამდელი განათლების განვითარების სისტემის სტრატეგიული მიზანია, სკოლამდელი აღზრდის სისტემა გახდეს სკოლასა და შემდგომ ცხოვრებაში წარმატების მიღწევის ინსტრუმენტი. პროგრამის ფარგლებში მოხდება სკოლამდელი განათლების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა, ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და ხარისხის მართვის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება. ასევე, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რომელიც გულისხმობს: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელებას, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამა/მეთოდოლოგიის დახვეწას, კვებით უზრუნველყოფას, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის განვითარებას, საბავშვო ბაგა-ბაღების მაქსიმალურ გამტარუნარიანობას და სხვა. სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის უფრო ეფექტურად წარმართვისათვის უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება

ინფრასტრუქტურას. განხორციელდება მისი გაუმჯობესებისათვის რეაბილიტაცია-ექსპლოატაციის ღონისძიებები. აგრეთვე, აღსაზრდელებისთვის წლის განმავლობაში ჩატარდება სხვადასხვა, როგორც სპორტული ისე კულტურული ღონისძიებები.

მოსალოდნელი შედეგი: გაუმჯობესებული და უსაფრთხო სააღმზრდელო გარემო; გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა; ბავშვების სკოლისათვის მზაობა; შეფასების ინდიკატორები: ბაგა-ბაღებში აღსაზრდელებისა და ჯგუფების რაოდენობის ზრდა; მოწესრიგებული შენობების რაოდენობის ზრდა.

ა.ა) ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო (პროგრამული კოდი 04 01 01) მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 31 ბაგა-ბაღი : N1 ბაგა - ბაღი, N3 ბაგა - ბაღი, N5 ბაგა - ბაღი, N8 ბაგა - ბაღი, N5 საბავშვო - ბაღი, N2 ბაგა-ბაღი, N6 ბაგა-ბაღი, N7 ბაგა - ბაღი, N9 ბაგა-ბაღი, სოფ.აკურის ბაგა-ბაღი, სოფ. ვანთის ბაგა-ბაღი, სოფ. ბუშეტის ბაგა-ბაღი, სოფ. ქვ.ხოდაშნის ბაგა-ბაღი, სოფ. კონდოლის ბაგა-ბაღი, სოფ. ლალისყურის ბაგა-ბაღი, სოფ. კისისხევის ბაგა-ბაღი, სოფ. გულგულის ბაგა-ბაღი, სოფ. ვარდისუბნის ბაგა-ბაღი, სოფ. ყარაჯალის ბაგა-ბაღი, სოფ. რუისპირის ბაგა-ბაღი, სოფ. იყალთოს ბაგა-ბაღი, სოფ. სანიორის ბაგა-ბაღი, სოფ. თეთრწყლების ბაგა-ბაღი, სოფ. ფშავლის ბაგა-ბაღი, სოფ. ლაფანყურის ბაგა-ბაღი, სოფ. ართანის ბაგა-ბაღი, სოფ. შალაურის ბაგა-ბაღი, სოფ. კურდღელაურის საბავშვო ბაღი, სოფ. წინანდალის ბაგა-ბაღი, სოფ. ნაფარეულის ბაგა-ბაღი, სოფ. წინანდალის N2 ბაგა-ბაღი, რომლებიც გაერთიანებულები არიან და შედიან ააიპ „თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო“-ში. პროგრამის მიზანია სასკოლო განათლებისათვის აღსაზრდელების მომზადება, სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ნორმალური აღზრდის ხელშეწყობა, მათი ჰარმონიული განვითარება და სკოლისათვის მომზადება, ბავშვების აზროვნების, ჯანსაღი ფსიქოლოგიის ფორმირება, მათი ფიზიკური, გონებრივი და ზნეობრივი აღზრდა, შემოქმედებითი შესაძლებლობების და ინტერესების ხელშეწყობა. საბავშვო ბაღებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე აღსაზრდელების ინტეგრაციის და გარემოსთან ხელმისაწვდომობის ღონისძიებათა გატარება. აგრეთვე, მნიშვნელოვანია აღმზრდელების გადამზადების საკითხი, ბაღში ჰიგიენური პირობების მკაცრად დაცვა, რაც უპირველესია ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვისათვის.

ა.ბ) სკოლამდელი განათლების ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 04 01 02)

სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის უფრო ეფექტურად წარმართვისათვის უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება ინფრასტრუქტურას, მისი გაუმჯობესებისათვის რეაბილიტაცია-ექსპლოატაციის ღონისძიებების დაფინანსებას, რომელიც აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება.

ბ) პროფესიული განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02)

პროგრამის მიზანია მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ინტელექტუალური, შემოქმედებითი, სულიერი და ფიზიკური პოტენციალის გამოვლენა და ამ მიზნების განსახორციელებლად შესაბამისი პირობების შექმნა. მოზარდთა ინტერესების შესაბამისად პროფილური წრეების ხელშეწყობა, მოსწავლე-ახალგაზრდობის შემეცნებით-შემოქმედებითი პროგრამების განხორციელება. ზემოაღნიშნული ღონისძიებების შეუფერხებლად გატარების მიზნით, საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება. პროგრამის ფარგლებში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ბავშვთა ინტერესების გათვალისწინებას. პროგრამა მოიცავს სახელოვნებო განათლების ღონისძიებებს. სასწავლო-შემოქმედებითი კუთხით პერსპექტიულ მოსწავლეთა სწავლის ხელშეწყობაზე, კონკურსებსა და ფესტივალებში მონაწილეობის მხარდაჭერაზე. პედაგოგთა ხელშეწყობაზე. აღნიშნულ ორგანიზაციაში ფუნქციონირებს მრავალი წრე, რომელიც ემსახურება ბავშვთა შემოქმედებითი და ინტელექტუალური ღონის ამაღლებას. (ხაზვის, ხატვის, სამეჯლისო ცეკვების, კულინარიის, მათემატიკის, უცხო ენის, ქართული ლიტერატურის, დიზაინის, რუსულის, სიმღერის, გიტარის, ლიტერატურული შემოქმედების, თექის,

ქსოვის, გობელინის და ა.შ. ... წრე), რომლის ფარგლებშიც ფინანსდება - ააიპ თელავის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი.

მოსალოდნელი შედეგი: მოზარდთა ინტელექტუალური, შემოქმედებითი სულიერი და ფიზიკური პოტენციალის გამოვლენა და ამაღლება.

შედეგის შეფასების ინდიკატორები: დაინტერესებულ მოზარდთა რაოდენობა.

4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

თელავის მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურის და ხელოვნების სფეროებში სხვადასხვა პროექტების შემუშავებას, სპორტის განვითარებისათვის სათანადო პირობების შექმნას, სპორტსმენტა მომზადების ორგანიზაციული და მეთოდური ხელშეწყობას, მონაწილეობის მიღებას რესპუბლიკურ ღონისძიებებზე. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული კულტურის ობიექტების, ბიბლიოთეკების, სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობა, ბიბლიოთეკებში წიგნადი ფონდის განახლება, კულტურული დაწესებულებებისათვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, კულტურული ღონისძიების ხელშეწყობა, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების ჩატარების ხელშეწყობა, ინფრასტრუქტურის განახლება.

კოდი	თელავის მუნიციპალიტეტი	2018 წლის გეგმა			2019 წლის პროექტი			2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი
		სულ	სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები	სულ	სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები			
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	4,376.30	321.70	4,054.60	4,552.00	0.00	4,552.00	4,030.40	4,329.80	4,329.00
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	2,220.76	269.21	1,951.55	2,023.25	0.00	2,023.25	1,847.00	1,925.00	1,995.00
05 01 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები	814.66	269.21	545.45	558.85	0.00	558.85	377.00	435.00	490.00
05 01 02	სპორტული ორგანიზაციების ხელშეწყობა	1,406.10	0.00	1,406.10	1,464.40	0.00	1,464.40	1,470.00	1,490.00	1,505.00
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	1,682.60	52.49	1,630.11	1,803.40	0.00	1,803.40	1,961.10	2,074.80	2,009.80
05 02 01	კულტურის ორგანიზაციების ხელშეწყობა	1,566.66	0.00	1,566.66	1,733.40	0.00	1,733.40	1,829.10	1,847.80	1,869.80
05 02 02	კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა	115.93	52.49	63.44	70.00	0.00	70.00	132.00	227.00	140.00

კოდი	თელავის მუნიციპალიტეტი	2018 წლის გეგმა			2019 წლის პროექტი			2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი
		სულ	სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები	სულ	სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები			
05 03	საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების და ღონისძიებების ხელშეწყობა	60.54	0.00	60.54	51.00	0.00	51.00	62.00	65.00	65.00
05 04	ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	40.00	0.00	40.00	40.00	0.00	40.00	40.00	40.00	40.00
05 05	ძეგლთა დაცვის ღონისძიებები	116.00	0.00	116.00	144.00	0.00	144.00	70.30	175.00	169.20
05 06	დასვენების ღონისძიებების ხელშეწყობა	256.40	0.00	256.40	490.35	0.00	490.35	50.00	50.00	50.00

ა) სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტის სხვადასხვა სახეობებში ფინანსური მხარდაჭერა, ვარჯიშისთვის შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების აღმოჩენა. სხვადასხვა ტურნირებზე, საქართველოსა და ევროპის ჩემპიონატებზე საუკეთესო შედეგების გამოსავლენად ხორციელდება მათი ადგილზე შეკრების და ვარჯიშების ჩატარება შესაბამისი პირობების შექმნით. 2019 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა შეჯიბრებები და მოხდება მათი ხელშეწყობა.

მოსალოდნელი შედეგი: სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად ჩართული ბავშვები და მოზარდები; სპორტის სხვადასხვა სახეობების ადგილობრივი და საერთაშორისო რანგის შეჯიბრებებში სპორტსმენთა წარმატებული გამოსვლა; მოწესრიგებული სპორტული ობიექტების ინფრასტრუქტურა.

შეფასების ინდიკატორი:

სპორტის სხვადასხვა სახეობაში გამარჯვებულთა და პრიზიორთა რაოდენობა;

სპორტულ ჯგუფებში ჩაბმულ ბავშვთა და მოზარდთა რაოდენობა;

ა.ა) სპორტის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ბავშვთა ინტერესების გათვალისწინებას. ბავშვებსა და მოზარდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას და მასობრივი სპორტის განვითარებას. აღნიშნულის ფარგლებში დაგეგმილია სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების ჩატარება და მისი ხელშეწყობა, რომლის მიზანია ახალგაზრდობის დაინტერესების ზრდა სპორტისადმი. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მინი-მოედნების მოვლა შენახვისა და ექსპლოატაციის, რეაბილიტაციის და ახლის მოწყობის ხარჯების დაფინანსება, სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნა და რეაბილიტაცია, მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, სპორტული დანიშნულების ობიექტების,

დარბაზებისა და სტადიონების შეკეთება, აღდგენა, მშენებლობა, გარე გამოყენების სავარჯიშო მოწყობილობების მოწყობა და სხვ.

ა.ბ) სპორტული ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 02)

პროგრამის მიზანია სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარება - პოპულარიზაცია, ადგილობრივი ნაკრების, ასაკობრივი გუნდების მზადება და მონაწილეობა საერთაშორისო და ადგილობრივ სპორტულ ღონისძიებებში (მსოფლიო, ევროპის და საქართველოს ჩემპიონატები, პირველობები, თასების გათამაშებები, მასობრივი სპორტული ღონისძიებები, საერთაშორისო ტურნირები, სასწავლო საწვრთნელი შეკრებები); სპორტის სხვადასხვა სახეობის ფედერაციებთან, სპორტულ ასოციაციებთან, სხვადასხვა სპორტულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და მათი საქმიანობის ხელშეწყობა; სპორტის სახეობების პოპულარიზაცია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებში.

პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელ ღონისძიებებს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ბავშვთა ინტერესების გათვალისწინებას. ბავშვებსა და მოზარდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და მისი დამკვიდრება მოზარდ თაობაში. პროგრამა მოიცავს მუნიციპალიტეტში ბავშვთა და მოზარდთა მასობრივი სპორტის განვითარებას. ნაკრები გუნდების მომზადებას და მონაწილეობას სხვადასხვა დონის სპორტულ ღონისძიებებში. პირველობების ჩატარება, მაღალი კლასის სპორტსმენთა მომზადება. სპორტის განვითარებისათვის ქმედითი ნაბიჯების გადადგმა. ინფრასტრუქტურის განვითარება, მატერიალურ - ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, სპორტული დანიშნულების ობიექტების, დარბაზებისა და სტადიონების მოვლა-პატრონობა. ამჟამად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციები: ბავშვთა და მოზარდთა სპორტთამაშების სკოლა, ჩოგბურთის კორტები, რომელიც მრავალ საერთაშორისო ტურნირის მასპინძელია, საფეხბურთო სკოლა, ჭიდაობის სპორტული სკოლა, ჭადრაკის სახლი, სადაც ბევრი ცნობილი მოჭადრაკე აღზრდილა და დღესაც ღირსეულად ასპარეზობენ საერთაშორისო არენაზე და ა.შ. აღნიშნული პროგრამის განხორციელება მნიშვნელოვანია ბავშვებსა და მოზარდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების და სხვადასხვა სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების განხორციელებისთვის. აღნიშნული ღონისძიებების განსახორციელებლად ფუნქციონირებს და ფინანსდება: ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანება; ააიპ თელავის საფეხბურთო სკოლა „თელავი“; ააიპ სპორტულ კლუბთა გაერთიანება „თელავი“; ააიპ ჭიდაობის სპორტული სკოლა „თელავი“

ბ) კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

პროგრამა ითვალისწინებს სახელოვნებო ორგანიზაციებში კრეატიული აზროვნების დანერგვა-ხელშეწყობას, ხალხური შემოქმედების, ფოლკლორული ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას. სათანადო მომზადებას და შემოქმედებითი კონცერტების მოწყობას საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში. მოსწავლეთა მზადებას და მონაწილეობას ბავშვთა და მოზარდთა კლასიკური და ფოლკლორული მუსიკის რესპუბლიკურ ფესტივალებსა და კონკურსებში; ხელოვნების სკოლების მოსწავლეების და მასწავლებლების ყოველწლიური საიუბილეო და საანგარიშო შემოქმედებითი კონცერტებისა და გამოფენების მოსაწყობა, მოზარდებში გარესამყაროს მხატვრული აღქმის უნარის ჩამოყალიბებას; გამომსახველობით საშუალებათა ტექნიკის განვითარებას, მოსწავლეთა ხელოვნების საფუძვლების ზიარებას. მატერიალურ - ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების მოწყობა, რომელშიც მონაწილეობას იღებენ ადგილობრივი ფოლკლორული ანსამბლები. სხვადასხვა სახალხო და რელიგიური დღესასწაულების ჩატარება. აღნიშნული ღონისძიებების დაფინანსება ხელს უწყობს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ახალგაზრდობაში ქართული ფოლკლორული ხელოვნების და ადგილობრივი ტრადიციების შენარჩუნებას.

მოსალოდნელი შედეგები: საზოგადოების პოზიტიური განწყობისა და ესთეტიკური დონის ამაღლება, კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება მომავალი თაობებისათვის, ახალგაზრდების დაინტერესების ზრდა ხელოვნების დარგების მიმართ, ინტელექტუალური დონის ამაღლება, ნიჭიერი ბავშვების წარმოჩენა.

შეფასების ინდიკატორები:

სახელოვნებო განათლების სპეციალობებით დაინტერესებულ მოსწავლეთა რაოდენობა; ფესტივალებსა და კონცერტებზე მონაწილე ბავშვების რაოდენობის ზრდა; ჩატარებული კულტურული ღონისძიებების რაოდენობა; ღონისძიებებზე დამსწრეთა დასწრების მაჩვენებელი.

ბ.ა) კულტურის ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 01) - აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ფინანსდება და ფუნქციონირებს კულტურული ორგანიზაციები რომლებიც ახორციელებენ კრეატიული აზროვნების დანერგვა-ხელშეწყობას, ხალხური შემოქმედების, ფოლკლორული ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას. სათანადო მომზადებას და შემოქმედებითი კონცერტების მოწყობას საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში. მოსწავლეთა მზადებას და მონაწილეობას ბავშვთა და მოზარდთა კლასიკური და ფოლკლორული მუსიკის რესპუბლიკურ ფესტივალებსა და კონკურსებში; მოზარდებში გარესამყაროს მხატვრული აღქმის უნარის ჩამოყალიბებას; გამომსახველობით საშუალებათა ტექნიკის განვითარებას, მოსწავლეთა ხელოვნების საფუძვლების ზიარებას. მატერიალურ - ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების მოწყობას და სხვა.

ბ.ა. ა) ააიპ თელავის მუნიციპალიტეტის ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი

პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ააიპ თელავის მუნიციპალიტეტის ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, რომლის ფუნქციონირებაც ითვალისწინებს ბავშვებსა და მოზარდებში ქართული ფოლკლორული ხელოვნების განვითარებას და ადგილობრივი ტრადიციების შენარჩუნებას. აღნიშნული ორგანიზაციის აღსაზრდელები მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა ფესტივალებსა და კონცერტებში.

ბ.ა. ბ) სახელოვნებო სკოლები - პროგრამა ითვალისწინებს სახელოვნებო ორგანიზაციებში კრეატიული აზროვნების დანერგვა-ხელშეწყობას, ხალხური შემოქმედების, ფოლკლორული, ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას. სათანადო მომზადებას და შემოქმედებითი კონცერტების მოწყობას საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში. მოსწავლეთა მზადებას და მონაწილეობას ბავშვთა და მოზარდთა კლასიკური და ფოლკლორული მუსიკის რესპუბლიკურ ფესტივალებსა და კონკურსებში; მოზარდებში გარესამყაროს მხატვრული აღქმის უნარის ჩამოყალიბებას; გამომსახველობით საშუალებათა ტექნიკის განვითარებას, მოსწავლეთა ხელოვნების საფუძვლების ზიარებას. მატერიალურ - ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ყოველივე ზემოაღნიშნულის განსახორციელებლად პროგრამის ფარგლებში ფუნქციონირებს: **ააიპ თელავის ელ.ახვლედიანის სახელობის სამხატვრო სკოლა; ააიპ თელავის №1 სამუსიკო სკოლა; ააიპ თელავის №2 სამუსიკო სკოლა. ააიპ რუისპირის სამუსიკო სკოლა , ააიპ წინანდლის სამუსიკო სკოლა , ააიპ აკურის სამუსიკო სკოლა.**

ბ.ა.გ) ააიპ საბიბლიოთეკო გაერთიანება - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პროგრამის ფარგლებში ფუნქციონირებს ააიპ „საბიბლიოთეკო გაერთიანება“ (მ.შ. საბავშვო ბიბლიოთეკა), სადაც მუდმივად მიმდინარეობს ლიტერატურის და პრესის განახლება, აღნიშნული ორგანიზაციის მეშვეობით საზოგადოებას ეძლევა საშუალება მუდმივად გაეცნოს და მიიღოს ინფორმაცია მისთვის საჭირო და საინტერესო საკითხებზე. მკითხველთათვის ხდება საბიბლიოთეკო დოკუმენტებისა და სამეცნიერო, საინფორმაციო პროდუქციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (ბეჭდური, ელექტრონული და ინფორმაციის შემცველი სხვა მასალები). მუდმივად ხდება წიგნადი ფონდის განახლება.

ბ.ა.დ) თელავის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი - მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულია ააიპ თელავის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი, რომელიც მრავალი სხვადასხვა ადგილობრივი კულტურული ღონისძიების და ფესტივალის ხელისშეწყობი და განმახორციელებელია (ადგილობრივ და ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებული ღონისძიებები და სხვა). რომლის დროსაც მნიშვნელოვანია ტრადიციების მაქსიმალური

შენარჩუნება, რათა სასიამოვნო და დაუვიწყარი გარემო შეიქმნას როგორც ჩვენი მოსახლეობისთვის, ასევე ტურისტებისთვისაც. პროგრამა ითვალისწინებს ხელოვანების ღირსეულად წარმოჩენასა და მათი შემოქმედების ხელშეწყობას, ფესტივალების, კონკურსების და საიუბილეო ღონისძიებების ხელშეწყობას, დამეგობრებულ ქალაქებთან კულტურული ურთიერთობების შენარჩუნება-გაფართოების მიზნით სპეციალური გაცვლითი ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებას, სხვადასხვა საერთაშორისო ფესტივალის ჩატარებას, მიმდინარე კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესებში სხვადასხვა თაობის ხელოვანების ჩართულობას და სხვა. აგრეთვე მის დაქვემდებარებაშია სიმღერის ანსამბლები და მუსიკალური ბენდი;

ბ.ა.ე) კულტურისა და დასვენების პარკი „ნადიკვარი“ პროგრამის ფარგლებში ფინანსდება კულტურისა და დასვენების პარკი ნადიკვარი. პარკი მოსახლეობისათვის გასართობი და დასასვენებელი ადგილია, სადაც ფუნქციონირებს სხვადასხვა ატრაქციონები, მოწყობილია დასასვენებელი კუთხეები, სასეირნო ბილიკები და საზაფხულო თეატრი. ყველა თაობის მოსახლეობას საშუალება ეძლევა გაერთოს და დაისვენოს. მუდმივად ახლდება ინფრასტრუქტურა და მუდმივად ხდება ზრუნვა კომფორტული გარემოს შექმნაზე

ბ.ბ.) კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 02)

პროგრამის ფარგლებში მოხდება კულტურული ღონისძიებების და ინიციატივების დაფინანსება.

გ) საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების და ღონისძიებების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 03)

პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება, რომლის ფარგლებშიც ხდება ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა, ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა, მათი საქმიანობის ხელშეწყობა, ახალგაზრდობის ჩართულობა საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში (ლაშქრობები, ექსკურსიები, და ა.შ.) და სხვა. რომლის ფარგლებშიც ახალგაზრდების სხვადასხვა სოციალურ ჯგუფს მიეცემათ საკუთარი შესაძლებლობებისა და უნარების რეალიზებისა და გაუმჯობესების შესაძლებლობა. პროგრამის ფარგლებში დაიგეგმება და განხორციელდება ახალგაზრდული ბანაკები; ჩატარდება ადგილობრივი და საერთაშორისო მასშტაბის ახალგაზრდული ღონისძიებები; ახალგაზრდებისთვის განხორციელდება გასართობი, შემეცნებითი და სხვა ღონისძიებების ორგანიზება ან/და მხარდაჭერა. აღნიშნული მიმართულებით აქტიური მუშაობა ხელს შეუწყობს გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების ჩართულობას.

მოსალოდნელი შედეგი: სოციალურად აქტიური ახალგაზრდები. ახალგაზრდული ორგანიზაციების საქმიანობის არეალის გაფართოვება და მათი აქტივობის ზრდა.

შედეგის შეფასების ინდიკატორები: განხორციელებული პროექტების რაოდენობა;

დ) ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა (პროგრამული კოდი 05 04)

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა - ჟურნალ „ოლე“-ს და „საქართველოს მოამბე“-ს თანადაფინანსება.

ე) ძეგლთა დაცვის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 05)

პროგრამის ფარგლებში მუდმივად მიმდინარეობს კულტურული და ისტორიული ძეგლების აღრიცხვა - პასპორტიზაცია, მოვლა-პატრონობა, საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, რეაბილიტაცია, თანამშრომლობა შესაბამის ორგანიზაციებთან. ახლად აღმოჩენილ ისტორიულ ძეგლებზე ინფორმაციის მოძიება, სამუშაოების განხორციელება და სხვა.

მოსალოდნელი შედეგი: შესწავლილი და გამოვლენილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე

არსებული კულტურული მემკვიდრეობის აქამდე უცნობი ძეგლები/ობიექტები. შენარჩუნებულია მნიშვნელოვანი, ავარიულ მდგომარეობაში მყოფი ძეგლები.

შედეგის შეფასების ინდიკატორი: მოვლილი და რეაბილიტირებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები.

ვ) დასვენების ღონისძიებების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 06)

პროგრამა ითვალისწინებს სხვადასხვა კომფორტული დასასვენებელი ადგილების შექმნას მომავალი თაობისთვის და აგრეთვე, ზრდასრული ადამიანებისთვის. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქ. თელავში დასვენების პარკი „ნადიკვარ“-ზე ამფითეატრის რეაბილიტაცია, აგრეთვე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოეწყობა დასასვენებელი ადგილები (სკვერები) და სხვა.

მოსალოდნელი შედეგი: კომფორტული დასასვენებელი ადგილების მოწყობა

შედეგის შეფასების ინდიკატორი: კმაყოფილი მოსახლეობა.

5. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. თვითმმართველობა არსებული რესურსებისა და კომპეტენციის ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებითა და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება. განხორციელდება მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით და ფართით უზრუნველყოფა, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით პროგრამა ითვალისწინებს მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

კოდი	თელავის მუნიციპალიტეტი	2018 წლის გეგმა			2019 წლის პროექტი			2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი
		სულ	სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები	სულ	სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები			
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1,762.70	0.00	1,762.70	1,760.00	0.00	1,760.00	1,685.51	1,707.51	1,759.71
06 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის ღონისძიებები	131.68	0.00	131.68	90.00	0.00	90.00	87.51	87.51	87.51
06 01 01	ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი	80.80	0.00	80.80	90.00	0.00	90.00	87.51	87.51	87.51

კოდი	თელავის მუნიციპალიტეტი	2018 წლის გეგმა			2019 წლის პროექტი			2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი
		სულ	სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები	სულ	სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები			
06 01 02	ჯანდაცვის ხელშეწყობის ღონისძიებები	50.88	0.00	50.88	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
06 02	სოციალური პროგრამები	1,631.02	0.00	1,631.02	1,670.00	0.00	1,670.00	1,598.00	1,620.00	1,672.20
06 02 01	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	37.20	0.00	37.20	31.80	0.00	31.80	31.80	31.80	31.80
06 02 02	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება	459.40	0.00	459.40	454.00	0.00	454.00	414.40	414.40	434.40
06 02 02 01	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლთა შშმპ შვილების სოციალური დაცვა	14.40	0.00	14.40	9.00	0.00	9.00	14.40	14.40	14.40
06 02 02 02	სოციალურად დაუცველ პირთა დახმარება	445.00	0.00	445.00	445.00	0.00	445.00	400.00	400.00	420.00
06 02 03	უმწეოთათვის უფასო სასადილოს დაფინანსება	270.09	0.00	270.1	359.20	0.00	359.2	360.00	372.00	409.20
06 02 04	ვეტერანთა, გარდაცვლილ დეენილთა და უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის ხარჯები	10.00	0.00	10.00	10.00	0.00	10.00	10.00	10.00	10.00
06 02 05	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	164.47	0.00	164.47	150.00	0.00	150.00	165.20	165.20	165.20
06 02 06	ვეტერანთა საზოგადოება	4.00	0.00	4.00	4.00	0.00	4.00	4.00	4.00	4.00
06 02 07	მოქალაქეთა ტრანსპორტით მგზავრობის და კომუნალურ გადასახადებზე დახმარების ღონისძიებები	88.25	0.00	88.25	75.00	0.00	75.00	82.20	82.20	82.20
06 02 08	დროებითი გადახდებით უზრუნველყოფის ღონისძიებები	46.70	0.00	46.70	55.00	0.00	55.00	25.00	25.00	20.00

კოდი	თელავის მუნიციპალიტეტი	2018 წლის გეგმა			2019 წლის პროექტი			2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი
		სულ	სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები	სულ	სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები			
06 02 09	სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებული დახმარების ღონისძიებები	53.28	0.00	53.28	40.00	0.00	40.00	40.00	40.00	40.00
06 02 10	სამედიცინო და მედიკამენტებით დახმარების ღონისძიებები	484.46	0.00	484.46	465.60	0.00	465.60	460.00	470.00	470.00
06 02 12	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	13.18	0.00	13.18	25.40	0.00	25.40	5.40	5.40	5.40

ა) საზოგადოებრივი ჯანდაცვის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 06 01)

ჯანმრთელობისათვის ხელშეწყობა წარმოადგენს პროცესს, რომელიც მიმართულია ადამიანის მიერ საკუთარი ჯანმრთელობის კონტროლისა და გაუმჯობესებისაკენ. პროგრამა უზრუნველყოფს მოსახლეობის ყველა ფენისათვის იმ შეგნების ჩანერგვას, რომ აუცილებელია საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვა ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვის გზით. ამ პროგრამის მთავარი მიზანი მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდის მიღწევა და მოსახლეობაში ჯანმრთელი კონტიგენტის ხვედრითი წონის მატებაა. აგრეთვე მისი მიზანია ადამიანთა ფიზიკური და ფსიქიური ჯანმრთელობის დაცვა, შენარჩუნება და აღდგენა დაავადებათა პრევენციის, მათი გავრცელების შესწავლისა და შესაბამისად კონტროლის, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობის გზით, აგრეთვე მათი აღჭურვის გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ ხარჯებს. აღნიშნულის ფარგლებში ფინანსდება ააიპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“, რომლის მიზანია თვითმმართველობის დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნის ხელშეწყობა, მოსახლეობისათვის ჯანმრთელობისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა.

ბ) სოციალური პროგრამები (პროგრამული კოდი 06 02)

პროგრამა ითვალისწინებს ხანდაზმულთათვის, მარჩენალდაკარგულთათვის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის, ავადმყოფთა, გაჭირვებულთა და სოციალურად დაუცველ პირთათვის, მრავალშვილიანი ოჯახების, მარტოხელა მშობლების ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების გატარებას, როგორცაა ახალშობილთა და მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს როგორც სოციალურად დაუცველი ახალშობილთა ოჯახების (ერთჯერად) და მრავალშვილიანი ოჯახების (ყოველთვიურად) ფინანსურ დახმარებას, რაც ნაწილობრივ აისახება მათ სოციალურ მდგომარეობაზე. სოციალურად დაუცველ პირებზე ზრუნვა, მათი კვებით უზრუნველყოფა. მოსახლეობის სხვადასხვა ფენის მედიკამენტებითა და სამედიცინო დახმარების მომსახურების

დაფინანსება, სამკურნალო-სარეაბილიტაციო ღონისძიებების დაფინანსებას, გარდაცვლილ ვეტერანთა, დევნილთა, უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო ხარჯების დაფინანსება და სხვა. მოსალოდნელი შედეგი: მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება. ავადმყოფთა და სოციალურად დაუცველთა ოჯახების შეძლებისდაგვარად გაუმჯობესებული პირობები, გარდაცვლილ ვეტერანთა, ლტოლვილთა და უპატრონო მიცვალებულთა პატივმიგება და სხვა.

შეფასების ინდიკატორი: გაუმჯობესებული სოციალური პირობები

ბ.ა) ავადმყოფთა სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02 01)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს დიალექტით დაავადებულ პირთა დახმარებას.

ბ.ბ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლთა შშმ შვილების სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02 02 01)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში მონაწილე შშმ პირთა მცირეწლოვან შვილებზე (18 წლამდე) ყოველთვიურ ფულად დახმარებას.

ბ.გ) სოციალურად დაუცველ პირთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 02 02)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს სოციალურად გაჭირვებული მოსახლეობის ერთჯერადი დახმარების უზრუნველყოფისათვის ფულად დახმარებას (სათბობი შემთხვევაში უზრუნველყოფისათვის).

ბ.დ) უმწეოთა უფასო სასადილოს დაფინანსება (პროგრამული კოდი 06 02 03)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს სოციალურად გაჭირვებულ პირთა ყოველდღიურ უფასო სადილს, რაც უმარტივეს მათ ყოველდღიურ აუცილებელ საზრუნავს და შეძლებისდაგვარად ამსუბუქებს მათ სოციალურ მდგომარეობას.

ბ.ე) ვეტერანთა, გარდაცვლილ დევნილთა და უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის ხარჯები (პროგრამული კოდი 06 02 04)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს გარდაცვლილი სამამულო ომის მონაწილეების და სამაჩაბლო-აფხაზეთის ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა დაკრძალვის ხარჯების გაღებას აგრეთვე, ხორციელდება გარდაცვლილი დევნილის და უპატრონო მიცვალებულის დაკრძალვისათვის თანხის გამოყოფა. პროგრამის მიზანია აღნიშნული ოჯახებისათვის თანაგრძნობის გამოხატვა და უპატრონო მიცვალებულების დაკრძალვისათვის შესაბამისი პატივის მიგება.

ბ.ვ) ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02 05)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ოჯახში ახალშობილთა დაბადებისას ოჯახების ერთჯერად ფინანსურ დახმარებას და აგრეთვე, მრავალშვილიანი ოჯახებზე, სადაც 18 წლამდე ოთხი და მეტი ბავშვია თითოეულ ბავშვზე ყოველთვიურ ფინანსურ დახმარებას.

ბ.ზ) ვეტერანთა საზოგადოება (პროგრამული კოდი 06 02 06)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს სამამულო და სამაჩაბლო-აფხაზეთის ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში მონაწილე ვეტერანთა ორგანიზაციების ხელშეწყობა.

ბ.თ) მოქალაქეთა ტრანსპორტით მგზავრობის და კომუნალური გადასახადებზე ხელშეწყობის ღონისძიებების დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 07)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მარჩენალდაკარგულთა ოჯახების, იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახების, მრავალშვილიანი ოჯახების, მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების (I ჯგუფი) და შშმ ბავშვების ოჯახების, მარტოხელა მშობლების მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის გადასახადის თანადაფინანსება,

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მგზავრთა შეუფერხებელი გადაადგილებისათვის გამოყოფილია ტრანსპორტი, რომელთა საშუალებითაც მთელი წლის განმავლობაში, სოფლებში, სადაც არ ხდება ტრანსპორტის რეგულარული მოძრაობა, მთელი წლის განმავლობაში შესაძლებელი იყოს შეუფერხებლად და კომფორტულად გადაადგილება.

ბ.ი) დროებითი საცხოვრებელი უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02 08)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს დროებითი საცხოვრებელი უზრუნველყოფისათვის ბინის ქირისათვის დაფინანსებას;

ბ.კ) სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 06 02 09)

ქვეპროგრამით ხორციელდება საერო, რელიგიურ და სხვა სახის დღესასწაულებზე სხვადასხვა კატეგორიის ბენეფიციარებისათვის ფულადი ან სხვა სახით საჩუქრების შეძენა/გადაცემას და ღონისძიებების მოწყობას (მრავალშვილიანი ოჯახები (სადაც 18 წლამდე 4 და მეტი ბავშვია), უდემამო ბავშვები, 100 წელს გადაცილებული მოხუცები, მკვეთრადგამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, შშმ სტატუსის მქონე ბავშვები, ომის მონაწილეები, ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა 18 წლამდე ასაკის შვილები, 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის შედეგად დაზარალებულთა და დაღუპულთა ოჯახები, იძულებით გადაადგილებული პირები, სოციალურად დაუცველი ოჯახები, მარტოხელა მშობლები (ვისაც ყავს 18 წლამდე ასაკის შვილები), მარჩენალდაკარგული ოჯახები (ვისაც ყავს 18 წლამდე ასაკის შვილები), ახალშობილთა ოჯახები) .

ბ.ლ) სამედიცინო და მედიკამენტებით დახმარების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 06 02 10)

ქვეპროგრამით ხორციელდება გაჭირვებული სოციალური ფენის ბენეფიციართა მედიკამენტებით და სამედიცინო დახმარების დაფინანსება.

ბ.მ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02 12)

ქვეპროგრამით გათვალისწინებულია შ.შ.მ.პირთა სოციალური დაცვის უზრუნველყოფის ხარჯების დაფინანსება, აგრეთვე, თელავის მუნიციპალიტეტში მცხოვრები უმძიმესი საწარმოო ტრამვის შედეგად დაზარალებული პირებისათვის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობების ნაწილობრივ გაუმჯობესებას.